სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიში

2025 წელი

სარჩევი

შესავალი **3**

განხორციელებული საქმიანობის პროგრესი **4**

სამოქმედო გეგმა 2022-2025 და გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პროგრესი 4

შედეგების შეჯამება **8**

შესავალი

2022 წლის 14 სექტემბრის №1.1/91 ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა“. აღნიშნული გეგმა შესაბამისობაშია 2022 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიასა და მისი აღსრულების სამოქმედო გეგმასთან, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგთან და ემსახურება დარგობრივი მიმართულების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას და შესაბამისად, განათლების მართვის სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირებით უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სფეროს მდგრად განვითარებას.

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა), მონაცემთა ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების დიაგნოსტიკური შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (WB)“ ფარგლებში. ამავე პროექტის 4.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მართვის სისტემის დიაგნოსტიკური კვლევის განხორციელებასთან ერთად, პროექტი ითვალისწინებდა EMS (საგანმანათლებლო საინფორმაციო მართვის სისტემა) შემუშავებას და განვითარებას სკოლამდელი და ზოგადი განათლებისთვის; მართვის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების დიზაინის შემუშავებას და დანერგვას და ზოგადი განათლებისთვის სწავლა-სწავლების მართვის (LMS) სისტემის დიზაინისა და დანერგვის, ტექნიკური დავალებების შემუშავებას.

აღნიშნული გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულება, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამით (HCP), რომლის ფარგლებშიც მსოფლიო ბანკი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო მხარს დაუჭერს საქართველოში ადამიანური რესურსების სტრატეგიის განხორციელებასა და რეფორმებს განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სექტორებში შედეგებზე ორიენტირებული პროგრამის საშუალებით.

მართვის სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა, მართვის სისტემის მონაცემთა ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების დიაგნოსტიკური შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის დოკუმენტში ასახული მიმდინარე სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების მიზნებსა და ამოცანებს შემდეგ სფეროებში: ორგანიზაციული განვითარება, ტექნოლოგია და პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა, სისტემების განვითარება, მონაცემთა მართვა, ციფრული განათლების მხარდაჭერა. ამასთან, მოიცავს შესაბამისი საქმიანობის განხორციელების 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმას, რომელიც თანხვედრაშია ზემოხსენებული დიაგნოსტიკური შეფასების დოკუმენტთან.

განხორციელებული საქმიანობის პროგრესი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიშს, 2025 წლის ჩათვლით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელია მართვის სისტემის შესაბამისი სამსახურები და მსოფლიო ბანკის პროექტის - საქართველო I2Q ფარგლებში გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერის გამარჯვებული კომპანია შპს „ორიენტ ლოჯიკი“ (Orient Logic LLC).

პროექტით - საქართველო I2Q გათვალისწინებული, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განახლებისა და ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნის მიზნებისთვის საერთაშორისო ტენდერების გამოცხადება, ისევე როგორც მათი წარმართვა, სრულად დამოკიდებული იყო დონორის კოორდინაციაზე. ამ პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაც, შესაბამისად, დამოკიდებულია პროექტის ფარგლებში დონორის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულ ეტაპებსა და ვადებზე. მართვის სისტემა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მიღწევის ხელშეწყობას, ამ პროცესებში მონაწილეობას და პროცესის მხარდაჭერას, ყოველ მიმდინარე ეტაპზე, რათა კოორდინირებულად და ეფექტურად იქნას უზრუნველყოფილი პროექტის განხორციელება.

სამოქმედო გეგმა 2022-2025 და გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების პროგრესი

- **საწარმოო არქიტექტურის EA, მონაცემების და დომეინის მოდელის შექმნა/დანერგვა.**

  საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანია - „ორიენტ-ლოჯიკთან“, ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 26 სექტემბერს. საანგარიშო პერიოდში შპს „ორიენტ ლოჯიკმა“ წარმოადგინა პირველი, მე-2 და მე-3 ანგარიშები, რომელიც დამოწმდა მსოფლიო ბანკისა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. ანგარიში მოიცავს საწარმოო არქიტექტურის განახლებულ ვერსიას (1.5) მონაცემთა და დომენის მოდელებით, მოდულების განვითარების დეტალურ საგზაო რუკას. ასევე, შესრულებული სამუშაოების ფარგლებში განახლდა და დაზუსტდა ბიზნეს პროცესების მოდულების სტრუქტურა.

- **eSchool-ის განახლების ტექნიკური დავალების შემუშავებაში მონაწილეობა.**

„ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (WB)“ პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა, მართვის სისტემასთან მჭიდრო კოორდინაციით, შეიმუშავეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განახლების ტექნიკური დავალება (ToR), რომლის გათვალისწინებითაც საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა 2023 წლის 11 აგვისტოს, შემდეგი საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად: ზოგადი (eSchool) და ადრეული და სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განახლება და საწარმოო არქიტექტურის EA, მონაცემების და დომეინის მოდელის შექმნა/დანერგვა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის (RFP No: GE-MESCS-334602-NC-RFP). აღნიშნული ტენდერის ფარგლებში გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან 2024 წლის 26 სექტემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და შპს „ორიენტ ლოჯიკს“ (Orient Logic LLC) შორის გაფორმდა ხელშეკრულება (No. GE-MESCS-334602-NC-RFP). აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაიწერა პროექტის განხორციელების შესაბამისი სამუშაოები, ეტაპები და ვადები.

- **eSchool-ის მიმდინარე სისტემის მხარდაჭერა/განვითარება**

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა არსებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) აქტიური ტექნიკური მხარდაჭერა და ხარვეზების აღმოფხვრა.

- **მართვის სისტემის მონაცემთა ბაზების გამართვა და ინტეგრაცია**

საერთაშორისო საგანმანათლებო სტანდარტების გათვალისწინებით და ახალ სისტემაში მიგრაციის მიზნით, განხორციელდა ძველ სისტემაში (eschool) არსებული მონაცემების რესტრუქტურიზაცია და შეფასდა მონაცემთა დომენების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. განხორციელდა მონაცემთა მოდელების რესტრუქტურიზაცია, განახლდა ERD და SQL სქემები და მომზადდა დოკუმენტები.

- **ტრენინგების ჩატარება ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე**

ამ ეტაპზე არ დაწყებულა. განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების შემდგომ ეტაპზე.

- **მონაცემთა ანგარიშგების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ანგარიშგების სისტემების დახვეწა, აქტიური ფაზა განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების შემდგომ ეტაპზე.

- **სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის შექმნა/განვითარება**

  საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის შექმნა და დანერგვა. შექმნილია გრიფირების ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

- **პროგრამული უზრუნველყოფის მოდულების კონტეინერიზაცია**

  განახლდა და დაზუსტდა მოდულების სტრუქტურა. შემუშავდა პირველი კონტეინიზირებული მოდული Core და დაიტესტა. ის მოემსახურება eSchool, eVet და eUni სისტემებს. Core მოდულში შედის: ცნობარები, განათლების ჩარჩოები, კალენდარი, ფიზიკური და იურიდიული პირები, მომხმარებელთა ქმედებების ლოგირება, და იტეგრაციები.

- **განახლებული eSchool-ის შემუშავება**

  პროექტის ეტაპების გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

  - ✓ შემუშავდა მიკროსერვისულ მიდგომებზე დაფუძნებული საწარმოო არქიტექტურა (ვერსია 1.5), განისაზღვრა დომენებისა და მონაცემთა მოდელები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის არქიტექტურასთან შესაბამისობაში გაიმართა ტექნოლოგიური სტეკი და არქიტექტურა, კერძოდ Kubernetes-ს, Open-Source Camel და Kafka, Open-Source Keycloak ტექნოლოგიის გამოყენებით.
  - ✓ ბიზნეს პროცესების ანალიზისა და მოთხოვნების შეგროვების საფუძველზე, შეიქმნა eschool-ის მოდულების განვითარების საგზაო რუკა.
  - ✓ განახლდა და დაზუსტდა eSchool-ის არსებული მოდულების სტრუქტურა. შემუშავდა და დაიტესტა პირველი კონტეინიზირებული მოდული Core, რომელიც მოემსახურება eSchoo, eVet და eUni სისტემებს. Core მოდულში, როგორც უკვე ავღნიშნეთ შედის: ცნობარები, განათლების ჩარჩოები, კალენდარი, ფიზიკური და იურიდიული პირები, მომხმარებელთა ქმედებების ლოგირება, და იტეგრაციები.
  - ✓ შეფასდა მონაცემთა დომენების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. განხორციელდა მონაცემთა მოდელების რესტრუქტურიზაცია, განახლდა ERD და SQL სქემები და მომზადდა დოკუმენტები.
  - ✓ Core მოდულის გაშვებისთვის EMIS-ის ინფრასტრუქტურაში აეწყო სატესტო გარემო და ჩატარდა შესაბამისი მრავალდონიანი ტესტირება. მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია DevOps, Back-end და Front-end-ისთვის.

- **eUni/QMS სისტემების ინტეგრაცია - RegAdmin ჩანაცვლება**

მიმდინარეობს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) შემუშავება.

- ✓ ტესტირების რეჟიმში გადავიდა დაწესებულების პროგრამული უზრუნველყოფის მოდული;
- ✓ ტესტირების რეჟიმში გადავიდა პროგრამების შემუშავების მოდული;
- ✓ მიმდინარეობს სტუდენტების მოდულის დეველოპინგი;
- ✓ ახალი მოდულების შემუშავების პარალელურად მიმდინარეობს სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების/პრობლემების აღმოფხვრა.

- **ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნის ტექნიკური მხარდაჭერა**

პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (WB)“ ფარგლებში, 2023 წლის 17 თებერვალს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ იქნა სატენდერო წინადადებაზე ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა, შემდეგი მომსახურების განსახორციელებლად: სასწავლო სისტემების გადაწყვეტილებები და მხარდაჭერა (LMS) ზოგადი განათლებისთვის საქართველოში (RFP No: GE-MESCS-332045-CS-QBS). აღნიშნულ ტენდერში გამოვლენილ იქნა გამარჯვებული კომპანია და 2024 წლის 6 სექტემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და JV CoreFour Inc. (ძირითადი პარტნიორი) და Orient Logic LLC (კონსულტანტი) გაფორმდა ხელშეკრულება (N.: GE-MESCS-332045-CS-QBS).

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა LMS პლატფორმის კონცეფციის ჩამოყალიბება და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა. ამასთან, მიმდინარეობდა Edsby პლატფორმის ფუნქციონალის განვითარება და ლოკალიზაცია, კერძოდ:

- ✓ განხორციელდა პლატფორმის ფუნქციონალის დაახლოებით 40%-ის განვითარება;
- ✓ შესრულდა ინტერფეისის ქართულ ენაზე ადაპტაცია;
- ✓ დაემატა შეფასების მოდული, რომელიც მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე შემაჯამებელ კომპონენტებს;
- ✓ განხორციელდა როლებზე დაფუძნებული წვდომის მართვის სისტემის იმპლემენტაცია;
- ✓ შეიქმნა ვირტუალურ მონაცემებზე დაფუძნებული ტესტირების კომპონენტები;

- ✓ მომზადდა ონლაინ სწავლის მოდულისა და ტრენერთა ტრენინგის (Training of Trainers – ToT) საწყისი ვერსიები.

- **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შემუშავება**

საანგარიშო პერიოდში სკოლამდელი განათლების საინფორმაციო სისტემის შექნა მიმდინარეობდა ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარების ფარგლებში და განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

- ✓ განხილულ იქნა ადრეული და სკოლამდელი განათლების მონაცემთა ანგარიშგების სისტემის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან შესაბამისობა;
- ✓ შეთანხმდა რეესტრის წესში ცვლილებების პროექტი, რათა მონაცემთა შეგროვება და ასახვა სრულად შეესაბამებოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულაციებს;
- ✓ განისაზღვრა მშობლის მიერ ბავშვის ელექტრონული რეგისტრაციისას კონფიდენციალობის პოლიტიკაზე დათანხმების ჩანაწერი;
- ✓ განისაზღვრა სისტემაში მონაცემების შევსებაზე პასუხისმგებელი პირები;
- ✓ განისაზღვრა სამომავლოდ გადასაჭრელი საკითები და შეთანხმების მექანიზმები.

შედეგების შეჯამება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა გაწერილია 2022 წლიდან - 2025 წლის ჩათვლით. შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ვადები განსაზღვრულია ინდივიდუალურად, თითოეული აქტივობისთვის 2025 წლის ჩათვლით. კონკრეტულ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მართვის სისტემასა და დონორ/კონტრაქტორ ორგანიზაციას შორის. დონორის მხრიდან საქმიანობის განხორციელების ვადები შეთანხმებულია მხარეებს შორის, თუმცა, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ აქტივობების გეგმით გაწერილ ვადებში შესრულება ან ამ ვადების ცვლილება დამოკიდებულია პროექტის განხორციელების მიმდინარეობაზე.

რაც შეეხება წარმოდგენილ წინამდებარე ანგარიშს, ის მოიცავს 2025 წლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდს.

საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უმეტესი აქტივობების ჭრილში დაფიქსირებულია პროგრესი, როგორც მათი ინიცირების კუთხით, ასევე ზოგიერთი აქტივობის შემთხვევაში, განხორციელების შედეგები თვალსაჩინო და ხელშესახებია. სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრულ ორ აქტივობას წინა საანგარიშო პერიოდისათვის უკვე ჰქონდა სრულად შესრულებულის სტატუსი, რომელიც

ამ ანგარიშშიც ასახულია. ხოლო, დანარჩენი აქტივობების შესრულება მიმდინარეობს ეტაპობრივად.

რაც შეეხება იმ აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც ჯერ არ დაწყებულა, მათი განხორციელების ეტაპის დაწყება დამოკიდებულია მათი განხორციელებისათვის აუცილებელი წინმსწრები საქმიანობების მიმდინარეობაზე და შესაბამისად იგეგმება ეტაპობრივად, ასეთი ამ ეტაპზე არის ერთი აქტივობა: ტრენინგების ჩატარება ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც პრაქტიკულად საფინალო საქმიანობას წარმოადგენს და ხელშეკრულებით განსაზღვრული პროგრამის განახლების შემდგომ უნდა წარიმართოს.

რაც ცალსახად ხაზგასასმელია, იმ ორი მიმართულებით, რომელზეც გამოცხადებული იყო საერთაშორისო ტენდერი, ესენია: ზოგადი (eSchool), ადრეული და სკოლამდელი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის განახლება და საწარმოო არქიტექტურის EA, მონაცემების და დომეინის მოდელის შექმნა/დანერგვა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის და სასწავლო სისტემების გადაწყვეტილებები და მხარდაჭერა (LMS) ზოგადი განათლებისთვის საქართველოში, გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ეტაპის ფარგლებში განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება 2024 წლის ბოლოდან დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საერთაშორისო ტენდერის გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადები, რიგი ობიექტური მიზეზების არსებობის გამო, აღემატება წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებს და ის აქტივობები, რომლის შესრულებაც გრძელდება ამ ეტაპზე, გათვალისწინებულია კონტრაქტორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განხორციელების ფარგლებში და მიმდინარეობს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების გათვალისწინებით.